L'oeuvre populaire.

სახალხო საქმე

Edition géorgienne.

გამოდგომა უცხოეთში მყოფ ხდგ.-ფედერ—ბის კომიტეტისა.

1932 წ. აპრილი. № 7 რვეული მეშვიდე.

გახსენება ადამიანის, გახსენება საქმის.—გ. ლასხიშვილი.—
ქართული სიტყვა.—გიორგი ლასხიშვილის სხოვნას.—
არჩილი და გიორგი.—რა დასწერეს გ. ლასხიშვილზე.
გ. ლასხიშვილის გარდაცვალების გამო. და სხვ.

გიორგი ლასხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენება ადამიანის, გახსენება საქმის

ერთმა წელმა განვლო უკვე, რაც გარდაიცვალა გიორგი ლასხიშვილი, ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, ჩვენი მასწავლებელი და აღმზრდელი, ადამიანი, რომელიც ოცნებობდა ქართველი ერის განთავისუფლებას და წინასწარ უგალობდა მას დიდებას, ვინც იხილა ეს განთავისუფლება და გაიხარა, ვისაც მწარე ბედმა არგუნა, მოსწრებოდა სამშობლოს მეორე დამონებას, მაგრამ ვინც მოხუცებული, ხოლო გაუტეხელი, ყმაწვილური რწმენით ისევ მაღლა აფრიალდება ჩვენი ერის წმინდა დროშას:

ნუ შედრკება ჩვენი მკლავი და ნუ დაეცემა ჩვენი სული დროებითი დამარცხებით, ნუ გაიხარებენ მტრები ერის წაფორხილებით, ბრძოლა გრძელდება და საქართველო აღსდგება, აღსდგება სამარადისოდ!..

მეტად ღრმა აზროვანია გ. ლასხიშვილის ცხოვრება. როდესაც პირველად გამოვიდა სამოღვაწეო სარბიელზე, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობა პირდაპირ საშინელი იყო: შიგნით ძალზე შესუსტებული ეროვნული შეგნება, ხშირად სრულ თავის უარყოფამდე მისვლა, და გარედან კი გაცხარებული შემოტევა მოზღვავებულ მტრისა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მოსპობისათვის. ა. ჯორჯაძემ და მისმა უახლობელესმა გ. ლასხიშვილმა რომ მაშინ ხმა აღიმაღლეს ღირსება-აყრილ ქართველ ერის უფლებებისათვის, ეს არაჩვეულებრივი გამბედაობა იყო; გამბედაობაა, რადგან დიდი სულიერი სიმტკიცე და სიმხნევეა საჭირო, რომ რწმენა ჰპოვო შენს გულში, როდესაც ირგვლივ სრული უიმედობა და ურწმუნოებაა გამეფებული; გამბედაობაა, რადგან გარდა იმისა, რომ ეროვნულ აღდგენას შინაური მოწინააღმდეგენი ჰყავდა, რუსის მთავრობა არც ერთს პოლიტიკურს თუ სოციალურს მოძრაობას არ ებრძოდა ისე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელს...

ხოლო გ. ლასხიშვილი თავის მოღვაწეობას რომ დაასრულებდა, იგი დაუძლურებული მოხუცი კვლავ გამოდის მშობელი ერის ღირსების დასაცავად. გამოდის, როდესაც ერი უკიდურეს განსაცდელშია და მის თვითარსებობას დასამარებას უპირობენ, გამოდის მაშინ, როცა გაუგონარის სიმკაცრითაა დევნილი ქართველ-მამულიშვილობა და ერის მოსარჩლეობა. მაგრამ რა დიდი რევოლუციაა გარდასრული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცვლილებაა მომხდარი ოცდახუთ-ოცდაათ წლის მანძილზე! თუ გიორგის პირველ გამოსვლისას ქართველს ქართველობა ეჩოთირებოდა, თუ მაშინ საქართველოს განთავისუფლებას ათეულნი და ასეულნი ეტრფიალებოდენ, თუ უსასოება დამკვიდრებულიყო სამშობლოს სამსხვერპლოზე,—ახლა გიორგი ლასხიშვილის უკანასკნელ წლებში ქართველობა ქართველისთვის საყვარელია, სამშობლო ყველასათვის ერთადერთია და მის დამოუკიდებლობის აღდგენას ყველაფერი შეეწირების.

გ. ლასხიშვილი თავის მოღვაწეობის ორ ეტაპზე—თავში და დასასრულ—ერთი და იმავე მაღალ მოწოდებით გვევლინება: ერის განთავისუფლების წინამძღოლად. თუ ოცდახუთი წლის წინად მის დროშას მცირედნი შეხაროდნენ, დღეს ამის გარშემო დარაზმულია მთელი ქართველი ერი. ესაა უდიდესი დაფასება გიორგის მუშაობის და იმ იდეების, რომელთა გამავრცელებლად ის გამოდიოდა. მისი რწმენა, მისწრაფება და ბრძოლა საქართველოს სინამდვილემ—არა მარტო საქართველოსამ—სავსებით გაამართლა და დაადასტურა.

ერი და ეროვნება ადამიანისთვის უმაღლესი ღირებულებაა—ყოველი და ყველაფერი მას უნდა ემსახუროს; იგია საფუძველი ყოველგვარ საზოგადოებრივობის და პროგრესის. მხოლოდ თავისუფალ ერს შეუძლია ღირსეული არსებობა, მხოლოდ თავისუფალს ერს შეუძლია განვითარება და წარმატება, მხოლოდ თავისუფალ ერს შეუძლია სოციალური სამართლიანობის შეგნება და მოპოვება.

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა დღეს. ასე არ იყო გუშინ. გრძელი და მძიმე გზა გამოვიარეთ, შედარებით მოკლე დროში და მწარე გამოცდილებამ, აუტანელმა ჩაგვრამ და დამცირებამ, არანახულმა ჭირმა დაგვანახეს, თუ რა არის საკუთარი კერა, ეროვნული სახელმწიფო, თავისუფალი სამშობლო, სადაც ჩვენ ვეკუთვნით ჩვენს თავს, სადაც ჩვენ ვართ ჩვენი ბატონი და არ ვმსახურებთ და არ ვმონებთ სხვას, არ შევეწირებით უცხოთა კეთილდღეობას.

ამის შეგნებაა უძვირფასესი საგანძური, რაიც მოგვიტანეს უკანასკნელმა ათეულმა წლებმა. ეს გვაძლევს ძალას და ღონეს გაუმკლავდეთ დღევანდელს სიბოროტეს და თავდებია იმის, რომ ჩვენი მომავალი მოეწყობა უკეთესად, აცდება წინანდელს შეცდომებს და მიანიჭებს საქართველოს ცხოვრებას იმ რეალობას, რომელიც მხოლოდ ერთი შეჰქმნის ჩვენს ერს ბედნიერად. მაგრამ ამ საგანძურს სათუთად და ფხიზლად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლა უნდა. განვლილმა უნდა შეგვაკავოს ყოველი ცრუ და სახიფათო გადახრებისა და კომპრომისებისაგან. აწინდელი ძალმომრეობის სიმძიმემ და გახანგრძლივებამ ოდნავადაც არ უნდა შელახოს ჩვენი შეცნობა და არ მიგვდრიკოს ისეთ მოქმედებისათვის, რომელიც შეიძლება გარეგნულად იოლი ჩანდეს და შემსუბუქებას გვიქადდეს, ხოლო საბოლოოდ და არსებითად გაუარესებას გვიმზადებდეს.

რაც უნდა ცვლილებათ მოვესწროთ კიდევ და რაც უნდა აღრევა და შფოთი ვნახოთ, რაც უნდა სხვადასხვა გვარი შესაძლებლობანი დაესახოს ჩვენს სამშობლოს,—ერთი რამ მუდამ თვალწინ უნდა გვედგას და იყოს ჩვენი ბრძანებელი:

ის იდეა, რომელიც დღეს მთელი ქართველობისათვის არის მთავარი და სახელმძღვანელო—დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა—სრულებით არაა დასკვნა და ნაკარნახევი მხოლოდ ოცი-ოცდაათი წლების, არც თუ უკანასკნელი საუკუნის. არა. ესაა უდიდესი პრობლემა, ისტორიული პრობლემა ჩვენი ერის, მისი გრძელი თავგადასავალის, რომლისთვის მრავალ საუკუნოებრივი ბრძოლა სწარმოებდა, რომელსაც მილიონთა სიცოცხლე ემსხვერპლა, სისხლის მდინარენი დაიღვარა და აუწერელი და გამოუთქმელი ვაება იქნა გადატანილი. ჩვენი ერი ერად იქცა, მან შექმნა მწერლობა, კულტურა, სახელმწიფოებრივობა, მას ჰქონდა საუკუნოები სრული თავისუფლების, სიძლიერის, გაშლის, ხოლო უმეტესი მისი არსებობა შეეწირა თავისუფლების დაცვას, დაკარგულის აღდგენას, ამის საშუალებათა ძიებას. აზია-ევროპის მიჯნაზე მოვლენილი უძლიერესი იმპერიები პირდაპირ შემოიჭრებოდნენ მის შუაგულში და ერთიან აღგვას უპირებდენ, და ორი ათას ნახევრის წლის სივრცეზე გაგრძელდა ქართველი ერის უმწვავესი ტრაგედია.

და იგი მაინც არავის დანებდა, არ განუდგა თავის თავს, ხელი არ აიღო თვითარსებობაზე.

მებრძოლი, დაუღალავი, უდრეკი მოვიდა მეოცე საუკუნემდე და ჩვენ—დღევანდელებს—გვიანდერძა თავისი მარადი მისწრაფება: საქართველოსთვის სრული თავისუფლების დამკვიდრება, ქართველი ერის სრული განვითარების პირობების შექმნა, რაიც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შემწეობით.

ნურასოდეს დავივიწყებთ ამ ანდერძს და ნურც მის სიმძიმეს.

ნუ გავზომავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენის საკითხს მარტო ჩვენი ჟამის საზომით. ეს საკითხი უფრო გრძელია და დიდი; შორიდან, შორიდან მომდინარეობს და შორსაც მიდის. იგი გვაერთებს და ერთმეორეზე გადაგვაჭდობს წარსულთ, ეხლანდელთ, მომავალთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგევით არა წყდეტდა მარტო ჩვენი დროის საკითხი, არა—ეს საქართველოს მთელი ისტორიის საკითხია. მისი გადაჭრით ვაღებთ ჩვენი ისტორიის კარს და შევდივართ მის წიაღში და ჩვენი დრო ჰპოებს უმაღლეს გამართლებას ქართველი ერის მატიანეში.

გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი *)

გასული მარტის თვის 15-ს, ღამის თერთმეტ საათზე ტთილისში გარდაიცვალა გიორგი ლასხიშვილი—იშვიათი მებრძოლი და მჭედელი სამშობლოს აღდგენისა, დიდი მამულიშვილი, ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ორი საუკუნის გადანასკვნზე გამოსულ თავობისა, უკეთილშობილესი ადამიანი, რომელიც თვით მთელ თავის არსებაში ატარებდა ახალს საქართველოს—თავისუფალს, კულტურულსანს, ქონებრივად წარმატებულს...

«მწარეა სიკვდილი, მაგრამ უმწარესია სიკვდილი დაუტირებელი, ცრემლ დაუფრქვეველი»—ასე ვიტყოდით ქართველები წინად ძველი წყობილობის დროს, როცა ერთად ერთი ჩვენი თავშესაკრებელი ადგილი მამულიშვილთა საფლავის გარშემო იყო და იქაც კი ხმაგაკმენდილნი უნდა ვყოფილიყავით, დატირება არ შეგვეძლო და გამწარებული დუმილით ჩვენს გულშივე ვიხჩობდით ნაღველს და კვნესას, ცრემლი შრებოდა და ერთმანეთისღა სახეზე ვპოულობდით უტყვ ნუგეშს, გამხნევებას და იმედს.

აი დღესაც კვდებიან, იღუპებიან საუკეთესო ქართველები და ვერავინაა შემძლებელი მათი დატირების და პატივისცემის—ეს ხომ დანაშაულობაა იქ, სადაც თვით ქართველერის შვილობა კანონის გარეშეა გამოცხადებული. გარდაიცვალა გ. ლასხიშვილი, დაღლილი, დაქანცული აუტანელი წყობილებით, საყოველთაო უბედურებით, ერის ტკივილებით, და

---

*) წაკითხული იყო 1931 წლის აპრილის 19, პარიზში გამართულ კრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდუმარედ მიაცილეს იგიც საუკუნო განსასვენებელს, თავჩაღუნულნი მისდევდნენ კუბოს ჭირისუფალები და ვერავინ უთხრა: საუკუნო მშვიდობით, ვერავინ გადასცა მადლობა ქართველი ხალხის სახელით!

საშინელია აკრძალვა სიხარულის, მაგრამ აკრძალვა გლოვის, მწუხარებისა? ადამიანთა ლექსიკონში არ მოიპოვება სიტყვა ამისთვის მსჯავრის დასადებად!..

მხოლოდ ჩვენ აქ უცხოეთში გარდმოხვეწილთ, განსვენებულის თანამებრძოლთ, თანამოკალმეთ, მეგობრებს, ნაცნობებს, იმათ, ვისაც ერთხელაც არის გვინახავს ის, მოგვისმენია რამ მისი სხვებისგან, შეგვიძლია აქ თავმოყრილად შევაერთოთ ჩვენი ფიქრები და გრძნობები და შორიდან მაინც მიუძღვნათ თავისუფალი გულითადი პატივისცემა და გამოსათხოვარი იმას, ვინც ჭეშმარიტად იყო ძვირფასი ერისშვილი, დიდი ქართველი მოღვაწე, მეტად საყვარელი ადამიანი და ვინც ღირსეულად განვლო თავისი 66 (?) წელი.

გადავავლოთ თვალი მოკლედ მის ცხოვრებას, ჩავუკვირდეთ მისი გზის მთავარ ხაზებს: გიორგი ლასხიშვილი დაიბადა 1865 თუ 66 წ. (საკმაო მასალების უქონლობისა გამო დატებს სისწორით ვერ აღვნიშნავთ, სამწუხაროთ), სოფელ ჯიხაიშში, ქუთ. მაზრაში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და მოწაფეობის დროსვე ჩაითრია საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და გაეცნო რევოლუციონურ მოძრაობას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში; სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის გადასახლებულ იქნა ციმბირში, სადაც დაჰყო რამდენიმე წელიწადი (სემიპალატ). სამშობლოში დაბრუნდა ათას რვაას ოთხმოცდაათიან წლებში (1893?). ხელი მოკიდა ჟურნალისტობას და გამოდიოდა იმ დროინდელ მოწინავე—პროგრესიულ და დემოკრატიულ აზრების გამტარებლად. ჯერ მუშაობდა რუსულ «ნოვ. ობ.»-ში და მერე «ივერიაში» ლალის ფსევდონიმით. 1900 წ. ჟურნალმა «მოამბემ» შეიძინა ვალ. გუნიასაგან გაზეთი «ცნობის ფურცელი», რომელიც მაშინ მხოლოდ ახალი ამბების ფურცელი იყო, 1901 წლიდან გააფართოვა მისი პროგრამა, გადააქცია იგი სრულ პოლიტიკურ ორგანოდ და მისი ხელმძღვანელი შეიქნა გ. ლასხიშვილი, რომლის მეოხებით «ცნობის ფურცელი» მალე გახდა მეტად გავლენიანი გაზეთი და უდავო ისტორიული როლი ითამაშა შემდეგ წლებში. გიორგის გვერდში ამოუდგნენ არჩილ ჯორჯაძე და სხვა რადიკალური ახალგაზდობა. ამას მოჰყვა ახალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დაარსება. გიორგი უდგება სათავეში პარტიას. მართალია, პარტიის აგრე ვსთქვათ თეორიული იდეოლოგი იყო არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელი და პარტიის ლიტერატურული მოღვაწეობის მეთაური ყოველთვის გიორ. ლასხიშვილი იყო. მისი ცხოვრება პარტიის ცხოვრება იყო, მისი მოქმედება—პარტიის მოღვაწეობა, გიორგის ახასიათებს —რასაც პარტია წარმოადგენს. ერთის თავგადასავალი მეორეს ჰფარავს. სოციალ-ფედერალისტების პარტიის მნიშვნელობა ასეთი იყო თუ ისეთი, ეს მიმართულება ჰქონდა თუ ის, ამ ხაზს ატარებდა თუ იმ ხაზს—ეს იყო სულ გიორგის ხაზი და მიმართულება. ის იყო მუდმივი შეუცვლელი თავმჯდომარე პარტიის მთავარი კომიტეტის, თავმჯდომარე საერთო კრებების და პარტიის წარმომადგენელი პარტიათაშორისო თუ საერთაშორისო კონგრესებზე. იგი აძლევდა ტონს პარტიის გაზეთებს და სხვა გამოცემებს. და ეს გეგემონობა, ეს სრული ლიდერობა მას არ დაუტოვებია ერთ წუთსაც 30 წ. განმავლობაში, ის მოკვდა ამ სპატიო პოსტზე. ის იყო პარტიის დარაჯი სულის ამოხდამდე...

აი კიდევ ზოგი ფაქტიური მხარე მისი ცხოვრებისა: 1905 წ. პარტიის დავალებით პარიზში იქნა ფარულად გამოგზავნილი, რომ ხელმძღვანელობა გაეწია ჟურნალ «საქართველოსათვის» და საერთოთ უცხოეთის მუშაობისთვის, ვინაიდგან იქ მყოფი არ. ჯორჯაძე იმ დროს მძიმე ავად გახდა... 1910 წ. გიორგი დაატუსაღა ქანდარმერიამ სხვა მის ამხანაგებთან ერთად, რამდენიმე თვე მეტეხში იჯდა და იქიდან გადაასახლეს რუსეთში. ცხოვრობდა ხარკოვში, მაგრამ არ ივიწყებდა პარტიას და ხანდახან წერილებს აწვდიდა გაზეთს. 1913 წ. დაბრუნდა ტფილისში, შევიდა ბანკის სამსახურში—ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელი პარტიულ გამოცემების და მუშაობის ისევ იყო მუდამ. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგის თვალები სტკივოდა და ექიმები უკრძალავდენ მწერლობას. ეს თვალის სისუსტე თანდათან იზრდებოდა, რაც ხანში შედიოდა... დადგა 1914 წ., გიორგიც დიდს ცვლილებებს მოელოდა მსოფლიო ომისაგან. მაგრამ მისი ორიენტაცია, წინაამდეგ ზოგიერთი მისი ამხანაგისა, იყო საფრანგეთის გამარჯვებაზე დამყარებული. მოხდა 1917 წლის რევოლუცია, გიორგი ისევაც მუდამ მხნე, ახლა მთლად გაყმაწვილებული შეყურებდა მომავალს. მისი მისწრაფებების უდიდესი დაგვირგვინება იყო 26 მაისი. გიორგი მიწვეულ იქნა აღდგენილი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს, თავისუფალ საქართველოს პირველ სამინისტროს განათლების მინისტრად...

განვლო სანეტარო წლებმა. ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა საშინელი კატასტროფა—გარეშე მიზეზისა გამო, მაგრამ ჩვენი საკუთარი დანაშაულის დიდის მონაწილეობით. როგორ შეხვდა გიორგი ბოლშევიკების შემოსვლას? მთელი თავის არსებით წინააღუდგა მოძალადეთ—ან კი შეიძლებოდა სხვანაირად? ბოლშევიზმი ხომ სრული უარყოფა იყო გიორგის ბუნების. მის გარშემო შემოკრბა ამხანაგთა ცხრა მეათედი პარტიულ კონგრესზე, რომელიც გაიმართა ოკუპაციის პირველ თვეებში.

1922 წ. თებერვალში გიორგის ბოლშევიკები მეტეხში ჩაამწყვდევენ, იქაა რამდენიმე თვე. მერე გამოუშვებენ, მაგრამ სასტიკად ადევნებენ თვალყურს მოხუცს, რომელსაც ისე დაუსუსტთა თვალები, რომ ქუჩაში მარტო გავლაც კი უძნელდება... აი 1924 წლის აგვისტო: როგორც კი იფეთქა სახალხო აჯანყებამ, გიორგი მაშინვე დაატუსაღეს და ალბად საშინელს ბედს უმზადებდნენ. მაგრამ მისმა ერთგულმა ცოლმა, გიორგის ბედით თავზარდაცემულმა—იგი უკვე დაღუპული ეგონა—თავი მოიკლა. ამ ტრაგედიამ ბოლშევიკებიც კი დაფიქრა—გიორგი გაანთავისუფლეს მეგობარ ცოლის დასასაფლავებლად...

ჩვენ—აქ უცხოეთში მყოფთ, რომელთაც შეგვიძლია მყუდროთ დავიძინოთ და მყუდროთ გავიღვიძოთ დილით, არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ საშინელება მდგომარეობისა სამშობლოში მყოფ ჩვენი მამების, დედების, ძმების, დების, შვილების. გამუდმებული სიკვდილი, სიკვდილი ყოველ წუთს—არა, სიკვდილი კი არა (სიკვდილი ხომ ბედნიერებაა ხშირად): წამება, წამება დაუსრულებელი—ხორციელი, სულიერი, მორალური! პირადი ვაება კი არ კმაროს—ეს ადვილი ასატანია. ხედავ დღემუდამ, ყოველ ჟამს სხვების დაღუპვას—სხვების, რომლებიც გიყვარდა, რომელთათვის ცოცხლობდი. გიორგი ხედავდა—ხედავდა კი არა, გრძნობდა, სუნთქავდა თავის ერის გოლგოთას, მაგრამ რა ჰქნას, როგორ უშველოს? მოხუცმა, ავადმყოფმა, თითქმის ბრმამ! ბოლშევიკები გადაკვრით ეტყოდენ: «გიორგი, შენ ჩვენ წინაამდეგ იბრძვიო». «ოჰ, უპასუხებდა გიორგი: ნეტამც შემეძლოს, მაგრამ ვაი რომ ძვალის და ტყავის მეტი არაფერი შემრჩაო». ამასთან ერთად იგი ამხნევებდა ამხანაგებს, უფრო მეტად ახალგაზდებს ბრძოლისთვის ახალისებდა. გალილესავით ეუბნებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: «დედამიწა მაინც ბრუნავსო! საქართველო აღსდგებაო!..»

ასეთია გიორგი ლასხიშვილის უკანასკნელი თვეები. იგი დადნა. მოკვდა. იგი მოკლა არა გაცივებამ, არა ფიზიკურმა სენმა, არამედ ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა ტრაგედიამ...

აი ზოგადად მოხაზული გარეგნული ამბები განსვენებულის ცხოვრების. მაგრამ განა ეს მშრალი ფაქტები დაგვიხატავს და გაგვიცხოველებს მის საყვარელს პიროვნებას? მსგავსი ფაქტებით იგი შეიძლება არაფრით განსხვავდება ჩვენი დროის სხვა მოღვაწეებისაგან? არა, მისი არსების შესაცნობად მარტო მშრალი ამბები არა კმარა—განსვენებული მეტად სრული, მთელი, ცოცხალი ინდივიდუალობა იყო, რომლის გაგება და დაფასება შესაძლებელია მარტო პირადი დაახლოვებით, ნაცნობობით, მეგობრობით, მასთან ურთიერთობის უშუალო განცდით. ის არ ყოფილა წიგნი, განყენებული თეორია, ის იყო სიცოცხლით მფეთქავი არსება ერთი, მთლიანი ყველგან და ყველაფერში. მისი სამშობლოს სიყვარული—უკეთილშობილესი ნაციონალიზმი, მისი დემოკრატიზმი, მისი სოციალიზმი, მისი მორალი, მისი ესთეტიზმიც—ყველაფერი ეს ერთი ძირიდან წარმომდინარეობდა, ერთიმეორეში იყო გადასკვნილი—გადაჯაჭვული, ერთი მეორეს შეავსებდა, ერთი მეორეს ასაზრდოებდა. გიორგიმ არ იცოდა თავის ცხოვრების და მოქმედების დანაწილება, მას არ ქონდა საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკის და მორალის განცალკევება, მისთვის ესთეთიკა-სიმშვენიერე არ წარმოადგენდა პოლიტიკისა და მორალისაგან დაშორებულს სფეროს. ამ მხრივ ჩვენ გიორგი ლასხიშვილში ვხედავთ სრული ადამიანის იშვიათს განსახიერებას ჩვენში, სანიმუშო ლამპარს მომავლისათვის.

თავის ქვეყნის უსაზღვრო მოსიყვარულე, თავის ერის ქონებრივ-კულტურულ ამაღლების მოტრფიალე, მისი თავისუფლებისთვის მუდმივი მებრძოლი იგი ყოველთვის და ყველასთან პირდაპირს, პატიოსნურ და კეთილშობილურ მეთოდს მიმართავდა. როგორც თბილი, გულითადი, წრფელი იყო თავის პირად მეგობრებსა და ამხანაგებთან, ასეთივე იყო მუდამ გარეშეებთან, უცხოთათანაც. მისი დამოკიდეგულება მოწინაამდეგე პარტიებთან თვით უდიდეს გამწვავების დროსაც არასოდეს მიიღებდა გაბოროტების ხასიათს. სულით და გულით მოწადინე კავკასიის ერების დაახლოვების და ერთობის, ის გამონახავდა საერთო გასაგებ ენას და უკანა რიგში დააყენებდა, რაც იყო გამთიშავი და დამაშორებელი. კავკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის ერთა კონფედერაციის დღევანდელნი მოღვაწენი გვერდს ვერ აუხვევენ გიორგის გაკაფულს გზას.

მისი დემოკრატიზმი და სოციალიზმი იყო ისეთი, როგორსაც ვხედავთ დღეს ევროპის კულტურულსან ქვეყნებში, აგებული ადამიანის თავისუფლებასა და თვითმოქმედებაზე, და ემყარებოდა, ან უკეთ წამომდინარეობდა მისი ღრმა მამულიშვილობისაგან. დემოკრატია და სოციალისტი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რწმენით ესაა გზა ქართველი ერის ამაღლების და სრული გაშლა-განვითარების. ხოლო მამულიშვილობა და დემოკრატობაც (სოციალიზმით) მისთვის უმაღლესი მორალის იმპერატივია—თავისუფალი ერი, თავისუფალი ადამიანი, სამართალი ერთა შორის და სამართალი ადამიანთა შორის—ეს ორი მცნება მისთვის განუყოფელია. და თუ ეს ასეა, მაშინ ხელოვნება ხომ უძლიერესი იარაღია სამართლიანობის გრძნობის განსაღვიძებლად და ჩვენ ვხედავთ, როგორი თაყვანისმცემელია გიორგი ესთეთიური განვითარების...

დინჯს, ფრთხილს, აუჩქარებელს უყვარდა მოსაზრებული, კარგად აწონილდაწონილი მოქმედება. არ უყვარდა უცბად აპილპილება, უცბად ანთება, რომელსაც ჩვეულებრივ უმალვე ჩაქრობა მოყვება ხოლმე. უკიდურესობას გაურბოდა და პარტიულ მოღვაწეობაში ეჯავრებოდა როგორც უკიდურესი მემარჯვენეობა ისე უკიდურესი მემარცხენეობა. განახლებულს სამშობლოსაც ის სიფრთხილეს და სიდინჯეს ურჩევდა, რომ თავიდან აგვეცდინა ყოველი ხიფათი, რომელიც გამზადებული იყო ირგვლივ. მაგონდება ის დრო, როცა ინგლისელებს ბათომის დასაცლელად ვაჩქარებდით. მაშინ საერთაშორისო ვითარებაში ჩახედულნი არ ვიყავით და არ ვხედავდით, თუ რას განგვიმზადებდენ მტრები. გიორგიმ, რომ ხედავდა მაშინდელს ჩვენს საერთო სულიერ განწყობილებას, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად სთქვა: ნუ კი ვეჩხუბებით ინგლისელებს, კალთაში ხელი ჩავჭიდოთ და ნუ გავუშვებთო. ეს რასაკვირველია არ ნიშნავდა ინგლისელების ბატონებად მოწვევას. მაგრამ ვინ იცის, ეგებ მაშინ რომ უფრო ფრთხილნი და ჩახედულნი ვყოფილიყავით, უფრო სწორ ხაზს დავდგომოდით...

მეტისმეტად სიმპატიური იყო გიორგი კერძო დამოკიდებულობაში: უბრალო, გულითადი, მოსიყვარულე, ნაზი, თავაზიანი, ჭირის და უბედურების გულწრფელი მოზიარე, მწუხარების შემსუბუქებელი; მხიარული და საერთო სიამოვნების გამომწვევი ლხინის დროს. მომღერალი და ლოტბარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართობელი, ტკბილი მოსაუბრე—ყველგან იმედის და გამხნევების შემტანი, ყველასათვის საყვარელი...

ასეთია მკრთალად გადმოცემული სახე გიორგი ლასხიშვილისა ჩემში, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში საერთო მისწრაფებებით და საერთო მუშაობით ვიყავი მასთან მჭიდროთ დაახლოვებული. ვფიქრობ, რომ ასეთი იქნება მოგონება ყველასი, ვისაც კი თუნდაც მცირედი ურთიერთობა ჰქონია განსვენებულთან. მისი პიროვნება ყოველთვის დარჩება როგორც მშვენიერი გამოხატულება კეთილშობილური ქართული ტიპის, გონებრივი და ზნეობრივი ღირსებით შემკულის, თავის ქვეყნის ერთგული და თავდადებული შვილის. თამამად შეგვიძლია—ჩვენს ახალგაზდობას, მოზარდ თავობას მივუთითოთ გიორგი ლასხიშვილის სახეზე და ვუთხრათ: აი მაგალითი თქვენთვის! და დავსძინოთ, რომ განსაკუთრებით დღეს ღრმად დაიმკვიდროს თავიანთ გულში გიორგის ანდერძი სიკვდილის წინ: «ბრძოლა ბოლშევიკებს სამშობლოს განსათავისუფლებლად! საქართველო ცოცხალია—იგი კვლავ თავისუფალი იქნება!»

და თუ დღეს შებორკილმა სამშობლომ დუმილით მიაცილა გიორგი ლასხიშვილის კუბო საფლავამდის, დადგება დრო, მალე დადგება, როცა მადლობელი ერი, დიდის დღესასწაულით აღბეჭდავს მის სახელს თავის უკვდავთა, მარად სახსენებელთა, უსაყვარლეს შვილთა საპატიო დაფაზე!

ს. ფირცხალავა.

ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა

(გიორგი ლასხიშვილის ხსოვნას)

ერთის საუკუნის განმავლობაში ბევრი რისმე მოგვარება მოასწრო რუსეთმა საქართველოს «უვნებლად» ქმნისათვის.

ამ «კულტურის» და ახალ ყოფის დადგინებაში ყველაზე ძლიერი არგუმენტი რუსული «კეტი» იყო ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების სახით; მეორე არა ნაკლებ ძლიერი არგუმენტი კი რუსული «თავი» იყო.

ეს უკანასკნელი ჩვენი გაშლილის, დიდის კარებით შემოდიოდა. შორს წაგვიყვანდა იმ დასთა ჩამოთვლა, რუსული «ასიგნაციები» რო ჩაიწყვეს, პოლკოვნიკ-ლენერლობით მხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭი დაიმშვენეს და რუსული თავი გამოიბეს, ჩვენდა «შესარცხვენად» და წარსულის გასაბზარავად.

მაგრამ ფესვი მაინც ძლიერი იყო და ზედ ნამყენის გაფურჩქვნასთან ერთად ძირზე ამონაყარიც მძლავრად წამოვიდა.

ვერ გადააშენა ეს «ველური» ვარდები «კულტურულმა» ნამყენმა ჩრდილოეთისამ, და ილია ქართულისა და ძველის ღირსების სადარაჯოზედ დადგა. დადგა და ისე მაგრად და გააფთრებით დაიწყო არა მარტო ქართულ კერის დაცვა, არამედ შეტევაზედ გარდასვლაც კი, რომ რუსობა და სხვა გარეშენიც და ქართველი გვამები რუსულის თავებით შეშფოთებას მისცა.

ახალი, მითომდა რუსეთიდამ გადმონერგილი, იდეები ადამიანთა ღირსებისა, თავისუფლება-თანასწორობისა ილიამ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულად და გაშლილად მოგვავლინა, მის განუკვეთელ თვისებად დაიყვანა, ან უკიდურეს შემთხვევაში ევროპის ახალ აზრებს და ბრძოლის ლოზუნგებს დაუკავშირა.

«ქართველნი» რუსების ჩინებით და თავებით ბრაზობდენ, უკბილოდ ხითხითებდენ და სისინებდენ: «ხალხი, დემოკრატია, ხალხოსნობა ეს ხომ რუსეთის სამოციან წლების ძლევამოსილ აზვირთების ანარეკლია და ეს ჯავჯავაძეც მარტო ნეკრასოვ, სალტიკოვ, პისემსკის იმეორებს და სხვა არაფერია... ბარემ და ორიგინალს გავეცნოთ, ბატონო»...

ილიას გუთანი კი უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა საქართველოს მიწის გულში და მის წიაღიდამ ჩვენზე ძველთა ძვლები, მათი ფიქრი და თქმა ამოჰქონდა...

ის ჩვენს წარსულს არ მისტიროდა, ამისი დრო არ იყო; —ამ წარსულს ის საძირკვლად სდებდა და ზედ ახალ საქართველოს აშენებდა, «შვილი აგრძელებდა იქედამ, საცა მამა შეჩერებულიყო».

მაგრამ დრო გადიოდა და წლები «მამების და შვილების» ახალ თავს იწყებდენ და აქ მამათა გზის გამმართლებელი და გამგრძელებელი ილია შეშფოთდა, შიშმა მოიცო...

კვლავ ჩვეულზე ფართოთ გაიხსნა რუსეთის საზღვრებთან ქართლის კარები და შემოიჭრა ახალი, ყველაზედ უფრო ძალუმი და ყველაზედ მაღლა აზიდული, აყრილი ტალღა...

აჯანყდა მატერია... იყო პური და არ იყო სული, იყო კლასი და არ იყო ერი, იყო კოლექტივი და არ იყო პიროვნება, იყო საერთაშორისო და უარყოფა ეროვნულის... სტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქია იზრდებოდა ჯადოსნურად. ეროვნულ დაჯგუფების ნაცვლად გამეფდა ტერიტორიალ-ოლქობრივი.

კომიტეტნი, კავშირნი, ყრილობანი სდგებოდენ გუბერნიის, ამიერ-კავკასიის, რუსეთის ფარგლებში.

ტალღა უფრო ძლიერად აზვირთდა და ილიაც ზევით აატივტივა. ეხლა მის მიერ ნაპოვნ-ნაზარდი «ძირები» ქართლისა ვის რაში სჭიროდა? რად გვინდოდა გვცოდნოდა: თუ სად გაჩერდა ჩვენი მამა (ილია), როცა მისი «გაგრძელება» შვილებს აზრადაც არ მოგვსლია. ჩვენ ვიცოდით ახალი სიტყვა და მით მამებს კი არ ვებაასებოდით, არამედ მთელს კაცობრიობას...

ნუ გამოვეკიდებით ძველს შეცდომებს. არც ამ დიდ სახალხო და სოციალისტურ მოძრაობის გამტყუნება ან გასამართლება გვინდა. ვინ არს სრულიად უცოდველი ჩვენი გაუბედურებული ქვეყნის წინაშე, რომ პირველმა გაბედოს და ქვა აიღოს!..

არა... ჩვენ ქვას არ ვიღებთ; წინაამდეგ, აღვიარებთ კიდეც, რომ ბევრი ღირსეული და დადებითი რამ შესძლო ამ მოძრაობამ. და ბოლოს ხომ დღეს ყველანი 26 მაისის დროშის გარშემო ვართ ერთსულოვნად დარაზმულნი!

ჩვენი ახლო წარსულის კარგთან ავსაც, რაც საუბედუროდ საკმაოდ ბევრი იყო და რამაც ბოლოს უნებურად ევროპის ხანგრძლივი სტუმრები გაგვხადა, თავის დროზედ დააფასებს პირუთვნელი ისტორიკოსი. ყველას თავისას მიგვიზღავს; მაგრამ ის არასდროს დაიმალება, რომ ილიას მიერ სისხლით და ოფლით ქართულს მიწაზე გაპოხიერებული ყანა ჩვენ გადავთელეთ და მოვსრენით... ქართულ სახლის და რაობის რღვევით ჩვენ გვეგონა უფრო ვუახლოვდებოდით მოწინავე კაცობრიობას და ამიტომ, ენტუზიასტები რევოლუციისა, ჩვენ სულ მაღლა ვწევდით ჯვარს, რომელზედაც ქართული სული და მისი მდიდარი ისტორიული სახე იყო გაკრული.

მტერი გულში ხარხარებდა ჩვენს ასეთს «თავგანწირვაზე» და უფრო გვაქეზებდა ახალ «გმირობისაკენ», ილია კი ყრუდ ქვითინებდა საფლავში...

* * *

.... და განა უძნელესი და ურთულესი არ უნდა ყოფილიყო ამოცანა იმ ადამიანებისა, რომელნიც მკერდით დაეჯახენ ამ ნილილისტურ ზვავს და მამაცურად «შესდექ!» მიაძახეს?

ოო, ეხლა ისე შებრუნდა ყველაფერი, ისე საყოველთაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა ეროვნული შეგნება, რომ ძნელია დაახლოებითი წარ-
მოდგენაც გავლილის.

ზღუდე მაგარი და მაღალი იყო, მაგრამ ეს მებრძოლი ჯგუფიც მტკიცე და დაუღალავი გამოდგა და კიდევ და კიდევ ეძგერებოდა მკერდით ამ კედელს. არ აშინებდა, რომ ეს კედელი მისის სისხლით იღებებოდა...

რაღაც აცხოველებდა მათ, შარავანდედით მოსავდა და ახალ ენერგიას აპკურებდა მუდამ—და ეს იყო იმედი, რომ ქართველის გულს ბიღლს ქართული სიტყვა მაინც მეზვ-დებოდა.

მიდიოდა ეს ჯგუფი თანამგზავრებითურთ ვიწრო და მძიმე ბილიკებით და ხელახლა ეჭრებოდა გადაჭრილ ძირებს, დანგრეულ კერას. ბაზალეთის ტბაში ჩაძირულ აკვანს; გაჰყვი-როდა, რომ საქართველო არ მომკვდარა და რომ სოციალიზმი და ბედნიერება საქართველოსათვის გვინდოდა. ქართულ ნია-დაგზედ უნდა დაიმყნას ეს ახალი იდეა შრომის განთავისუფ-ლებისა; რომ საფრთხეში ჩავარდნილ ქართველ ერს შველა უნდა, ფართო გზაზედ გამოყვანა, თავისუფლება, წარსულთან გადაბმა და მარტო მაშინ შეეძლება მას თავისუფალ და ბედ-ნიერ ერებს დაუკავშირდეს და მუშის განთავისუფლებისათ-ვის იბრძოლოს.

სოციალიზმი კომპლექსია რთულ მოვლენათა, რომლე-ბშიაც სულის საკითხებსაც უდიდესი ადგილი უჭირავთ. ჩვენ გვინდა მატერია ბაზად, რომელზედაც სული. პიროვნება და ერი უნდა ამოვიდეს, ვინაიდგან ისაა მიზანი და გვირგვინი ყველაფრის. მარტო ასეთი ინდივიდია ჰარმონული ნაწილი კოლექტივისა და არა მისი მექანიკური შემადგენელი... და ამ ჯგუფმა თვისი ახალი თქმა წარსულს დაუკავშირა; მძლავრად ჩასჭიდა ხელი ილიას მადლიანს და ქართულ სიტყვას და გა-აფართოვა, გაშალა მისი დემოკრატიზმი; ახალი, მოდერნული მეცნიერებით გაუჭრა გზა მის გულის კვნესას «საბრალო მუშისა» და «ქართლის დედისადმი»...

მაგრამ ძლიერი იყო ჩრდილოეთიდამ მონაბერი ეროვ-ნული «ნიღილიზმი»; უცნაური რწმენა რუსულის კიდევ არ გამქრალიყო ჩვენს ხალხში და ვით ერთი საუკუნის წინ, ეხლაც დარიალის კარებით უნდა მოსულიყო ახალი მესია, საქართ-ველოს და ქართველობას რომ იხსნიდა.

«შესდექით, დაფიქრდით, ვიდრე კიდევ გვიან არაა»,— ეუბნებოდენ ერის მოსარჩლეთ მტერნი და «მოყვარენი».— «ვის წინაამდეგ აპირებთ ამხედრებას? განა პატარა, უძლურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს შეუძლიან დიდ რუსეთის გამკლავება და საკუთარ ფეხზედ დადგომა? განა ეს ავანტურა არაა? ტყვილია, თავსაც იღუპავთ და გინდათ საქართველოც უდიდეს ხიფათში ჩააგდოთ»...

მაგრამ ეს «წარმართნი», ქადაგად გავარდნილნი არა სცხრებოდენ და ეკლიან გზებზე უშიშრად მიაბიჯებდენ. მათ არ იცოდნენ შიში, არც დაღლის დრო ჰქონდათ, რადგან შემცველი არავინ იყო.

რად აირჩიეს ეს გოლგოთა, რად აიკიდეს ეს მძიმე ჯვარი?.. პასუხი მოკლეა: საქართველოს ღირსებისათვის, მისი შელახული რაობის აღდგომისათვის. და ეს როლი იმდენად საპატიო იყო მათთვის, რომ უკეთეს საჩუქარს ისინი არ ითხოვდენ. ასე უყვარდათ თვისი გოლგოთა, რომელიც ეხლა მათთვის მისტერია კი აღარ იყო, არამედ ხელსახები სინამდვილე...

* * *

რა მოხდა შემდეგ? ამას აღარ მოვყვებით. ეკლიან ბილიკებით მოსიარულეთ დაინახეს მოწინააღმდეგეთა შემობრუნება; მათი შუბლი გაცისკროვნდა და ისინიც შედგენ, რომ სისხლი და ოფლი მოეხოცათ...

რევოლუციამ გაიმარჯვა. უდიდესი მტერნი საქართველოსი ორივე მხრივ: რუსეთი და ოსმალეთი დამარცხებულნი ჩაიკეცენ. დაუდგა თითქოს დრო, აეხსა ფრთა თქმას: «ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდვნოს». მაგრამ ეს ოხერი ძველი, საუკუნით ათვისებული ლოდინი და მზერა ჩრდილოეთისაკენ კიდევ ეწეოდა თავისკენ ერის აწყვეტილ ოცნებას... იქ, პეტერბურგში დამფუძნებელი კრება სდგებოდა; რას გვეტყოდა, რას გვიწყალობებდა? მანამ როგორ უნდა გაგვებედნა!..

და ტელეგრაფის მავთულებმა მოგვცეს პასუხი, რომ «პასუხი» არ იქნება, რომ დამფუძნებელნი რუსის ბრბოებმა გარეკეს... ეხლა რაღა ვქნათ? სანამ? რაღას ველით? ჰაერი სავსეა ქართველთა გულის ცემით—ყველა ერთ სიტყვას ელის...

ჩვენ მივდივართ ერთ-ერთ უდიდეს ყრილობაზე; ჩვენ უნდა ვსთქვათ:—რას ვუცდით, რა იქნება? რა გველის?

ქუდმოუხდელი, პალტოებში სწრაფად შევდივართ რედაქციის ცალკე კაბინეტში მოხუცთან, რომელშიაც ჯერ კიდევ ჭარბობს იერი სიჭაბუკისა... მან უნდა გვითხრას ყველაფერი; მოგვცეს ახალი აღთქმა... ის ხომ ერთი პირველთაგანია იმ «მუჭა ქართველ მოწინავეთაგან», ეკლიან ბილიკებით რო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარეს საქართველოს უფლებისათვის. რას გვეტყვის ეხლა? —«წადით და მტკიცედ, გაბედვით და გადაჭრით განაცხადეთ, რომ ჩვენ მოვითხოვთ მოწვევას საქართველოს დამფუძნებელი კრებისას. რუსეთის და საქართველოს გზები ფაქტიურად და იურიდულად დაშორდენ ერთმანეთს. ჩვენ ეხლა გვინდა თვითონ ვუპატრონოთ ჩვენ თავს. აი ჩემი სიტყვა»... არა, ამას განმარტება არ ეჭირვებოდა, მეტი ლაპარაკი, სიტყვა ძალას და მჭრელობას დაუკარგავდა ამ ლოზუნგს.

ეს იყო ეს,—რაც ერთის აკორდით ძგერდა ქართველი ხალხის მკერდ ქვეშ; ამით იყო საქართველოს ჰავა დღეს გაქღენთილი.

გაუმარჯოს!..

და ჩვენ გავსწიეთ დიდ ყრილობისაკენ.

ყურში ჩაგვძახოდა ამ მოხუცის ლითონის სიტყვები, ზურგს უკან ვგრძნობდით მის ურყევ, მოწამებრივ ძალას და სიყვარულს და ეს წარმართული სიტყვა თამამად გადავისროლეთ ზღვა ხალხში.

«გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს საქართველოს განთავისუფლებას!

ვაშა ჩვენს ერს, მის დამოუკიდებლობას!..»

ხალხი შეტორტმანდა, გადახედა ბელადებს, აქ მომწვევთ: შეიძლება განა ამ სიტყვის თქმა? ღვთის წინაშე—კარგი რამ კია ეს სიტყვა, სწორედ მათი გულის ნადებიცაა, მაგრამ... გაისმა ძველი, ნაცნობი «ძირს, ძირს!» ხოლო ჩვენ უკვე ვხედავდით, ვგრძნობდით, ყინული გატყდა, რომ ეს «ძირს» უკვე უნიათოა, უილაჯოა და ამ ზღვა ხალხის სახეზეც გაოცების ხაზები ნელ-ნელა აიშალნენ... გვესმის ქანდარაზე შემომსხდარ ხალხის ტაშის ცემა და ყიჟინა: «გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას! ვაშა, ვაშა!..»

ზეიმით გვევსება გული და გაბრწყინვებულის სახით გამოვდივართ გარეთ. კარებში გვხვდებიან ვაჟნი და ქალნი, რომელთაც დღეს ერთბაშათ მიეცათ ქართული ხმა, იერი და სული... «ვაშა საქართველოს! ვაშა!» გრიალებს ხალხი და ჩვენც გვიკვირს—რად ვერ ვნახეთ თვითონ ეს ბუნებრივი, სადა და ნამდვილი ქართული სიტყვა, რომელიც ასე მოხვდა ყოველ ქართველის გულს და რომელიც ამ ორის საათის წინ გვასწავლა ჩვენმა ბელადმა, «ჭაბუკმა მოხუცმა»—ჩვენმა გიორგიმ.

არჩ.—იანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლასხიშვილის ხსოვნას

გიორგი ლასხიშვილი ევლინება ყოველ ქართველს, განურჩევლად პარტიისა, როგორც განსახიერება ეროვნული პათოსის, რომელიც აშუქებს განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში ჩვენი ეროვნული ბრძოლის გზას საქართველოს სუვერენობის კვლავ აღსადგენათ.

ეს იშვიათი ადამინი იყო საუკეთესო გამომჭღავნება ეროვნული აღტყინების, მის გარშემო თავი მოიყარა ქართველმა მოაზროვნე საზოგადოებამ. გიორგის და მისი მეგობრების ხელმძღვანელობით «ცნობის ფურცელი»—«სახალხო საქმე» ერის მისწრაფებებს საუცხოვოდ გამოხატავდენ. ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ბრძოლის ისტორიაში ის ეპოქა ქართულ სასოგადოებრივი ცხოვრებისა, როდესაც არჩილი, გიორგი, ზდანოვიჩი-მაიაშვილი, კიტა აბაშიზე, გ. დეკანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე და მათი მეგობრები გაბედულად დადგენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სადარაჯოზე. ისინი მოევლინენ სამშობლოს მაშინ, როდესაც «მამულიშვილობა» მიჩნეული იყო ფართე წრეების მიერ, როგორც სათაკილო მოვლენა. მათი პოლიტიკური და ეროვნულ—სოციალური კონცეპციაკი ისეთი მახვილი გამოდგა, რომ სულ მოკლე ხანში არა თუ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, არამედ შემოიკრიბა საუკეთესო ნაწილი ქართველი საზოგადოებისა.

თუ 1905—6 წ. რევოლიუცია ჩატარდა საქართველოში ნაციონალური ნიღილიზმის ქვეშ, სამაგიეროთ 1917-18 წ. რევოლიუციას ეროვნული პათოსი ახასიათებდა. სულ რამდენიმე წელიწადი გიორგის და მისი მეგობრების მოღვაწეობისა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთელი ქართველი ახალგაზდობა დარხზმულიყო მისი დროშის ქვეშ და ამითაც აიხსნება, რომ მიუხედავად უსაშინელესი დევნისა საქართველო დღესაც იბრძვის თავის ეროვნული სახის და სულის განსამტკიცებლათ.

გიორგის და მის თანამოაზრეთ ძალა მდგომარეობდა იმაში, რომ იმათ ღრმად სწამდათ და ეს ერმაც შეიგნო მერე: არ შეაძლება სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლა, სანამ არ იქნება დამსხვრეული ეროვნული ბოროკილები, აგრეთვე შეუძლებელია ნამდვილი ეროვნული აღორძინება გარეშე სოციალური სამართლიანობის დამყარებისა. ამ იდეას ემსახურებოდა გიორგი და ამისთვის იბრძოდა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე გიმნაზიელობის დროიდან უკანასკნელ დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი იყო ბედნიერი ადამიანი, რომ თავისი თვალით იხილა ახალგაზრდობის ოცნება სინამდვილედ გადაქცეული— მშობელ ერს სუვერენობის აღდგენა; მით უფრო ძლიერი იყო მისი მწუხარება, რომ ამოვარდნილმა ქარიშხალმა ერს დროშა ისევ ხელიდან გამოგლიჯა.

ჩვენ ვიცით, რომ გიორგის იმედი არასოდეს არ დაკარგვია, მას მუდამ ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე კვლავ აფრიალდება ეროვნული დროშა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ დღეს ყოველი ქართველის არსებაში, მისი სულის სიღრმეში არის ეს დროშა შენახული და ვერავითარი ძალა მას ვერ ამოგლეჯს.

გიორგი იყო ერთი მთავარი სულის ჩამდგმელი იმ ეროვნულ სოციალისტურ მოძრაობისა, რომელიც სწორედ შეეფერებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და მადლიერი ერი მის სახელს სხვა დიდ ქართველებთან ერთად მუდამ გულში ატარებს და სიამაყით მოიგონებს.

ამწანაგი.

არჩილი და გიორგი

ეს ორი სახელი განუყოფელია. მათი სახეები—ორივე კეთილშობილი, მაღალი მისწრაფებით აღბეჭდილი, სიყვარულით გამშვენიერებული, ნაზი, წმინდა, მყისვე მიმზიდავი შინაგანი სითბოთი,—ყოველთვის ერთად წარმოგისდგება ადამიანს, როდესაც ჩვენი პარტიის წარსულს გაიხსენებ.

არჩილ ჯორჯაძე სოციალ-ფედერალისტების პარტიის იდეოლოგი, მოძღვრების თეორეტიკოსი იყო; მან გაარკვია მთავარი საკითხები, როგორც იდეური, ისე პრაქტიკული საქმიანობის. ის ამ მხრივ უმთავრესი ჩვენი მასწავლებელია, უეჭველად. ხოლო არჩილი არაა ერთად ერთი დამაარსებელი, შემქნელი, საფუძვლის დამდები პარტიისა.

მისწრაფებანი და აზრები, რომლებიც ასულდგმულებდენ არჩილს, უკვე არსებობდენ ჩვენს საზოგადოებაში, ზოგს ნათლად ჰქონდა შეცნობილი, ზოგს ბუნდოვანად, ზოგადად. არჩილმა მათ თავი მოუყარა, დაალაგა, გააშუქა და მისცა მთლიანი გამოხატულება და თანაც გამოთქვა გაბედულად, პირდაპირ.

იგი რომ საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა, სადაც დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ ღრმა ეროვნულ შეგნებამდე მივიდა, საქართველოში მას უკვე დახვდა თუ მჭიდროდ შეკავშირებული წრე არა, ცალკე პირები მაინც, მისი მსოფლმხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დველობის იდეების მატარებელნი—სოციალ ეკონომიურის და პოლიტიკურ-ეროვნულის.

არჩილ ჯორჯაძე და მისი მონათესავე-თანამოაზრენი ძმებივით შეხვდენ ერთმანეთს. გულმა გული იგრძნო და სულმა სული შეითვისა; შინ განცდილი, სამშობლოს სინამდვილეზე უშუალოდ აღმოცენებული მსჯელობა გადაეჭდო შორს, უცხო ერთა მაგალითებით შეფასებულს, საკუთარ ერის ვითარების გაგებას.

სახლიდან ადრე წაღებული შთაბეჭდილებები და მშობელი ქვეყნის ცოდნა არჩილმა საზღვარგარეთის ცხოვრების დაკვირვებით გასინჯა და შეამოწმა და დაასკვნა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო, რა გზით უნდა ყოფილიყო წარმართული მუშაობა. მისი დასკვნა იყო ისეთივე, როგორიც გააკეთეს მის დამოუკიდებლად საქართველოში მყოფმა პირებმა. მათი ერთმანეთთან მისვლა, შეხვედრა—ერთი მხრით უფრო თეორიულად შემუშავებული აზრების და მეორე მხრით უფრო პრაქტიკულ დანასკვენისა—საუკეთესო იყო მათი საერთო მოძღვრების შესამუშავებლად და საქმიანობისათვის. ერთმა მეორე შეავსო, ერთმა მეორე განამტკიცა და აქედან წარმოსდგა ის, რაც შეიქნა დამახასიათებელი სოც.-ფედერალ. პარტიისა: მისი მეტი კულტურულობა და საღი ეროვვული სული.

იმ პირთა შორის, რომლებთან მივიდა უცხოეთიდან ჩამოსული არჩილი და თავიდანვე დაიწყო თანამშრომლობა, უპირველესი იყო გ. ლასხიშვილი.

ისინი შეაერთა არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის ცეცხლმა, საერთო ეროვნულმა და სოციალურმა მისწრაფებამ, საერთო იდეებმა, არამედ საერთო ბუნებამ, ხასიათმა, ადამიანობამ. ორივე პირდაპირი, გულახდილი, თავაზიანი, თანამგრძნობი, მოკლებული ყოველს ღვარძლიანობას, სიბოროტეს, სიცრუეს და სიყალბეს—ურთერთის ბუნებრივი მეგობრები გახდნენ. გიორგი არჩილისთვის ის მტკიცე მორალური ძალა იყო, რომელსაც დაეყრდნო. ესევე იყო არჩილი გიორგისთვის. იგინი ერთიმეორეში საკუთარი მე-ს გამაგრებას ჰპოვებდენ, ერთმანეთს გაამხნევებდენ და წაახალისებდენ, და ეს უადვილებდა მათ მუშაობას და დაძლევას იმ დაბრკოლებათა, რომლებიც უხვად გადაეღობა წინ მათ პირველ გამოსვლებს.

არჩილი და გიორგი ერთად იბრძოდნენ, ვით მეგობრები —ერთად იყოს ჩვენს გულში მათი ხსოვნა და სიყვარული.

ს. ლეონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დასწერეს გიორგი ლასხიშვილზე

1. «ბრძოლის ხმა» № 16.

სრულდება ექვსი თვე გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალებიდან. პიროვნება მეტათ სპეტაკი, თავდადებული, ღრმა რწმენის და უშიშარი, გიორგი ეკუთვნოდა მოღვაწეთა იმ გუნდს, რომელიც ჩვენში საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეაქციის ხანაში—მეოთხმოცე—მეოთხმოცდაათე წლებში. ის ჩამოვიდა რუსეთიდან როგორც ნაროდნიკი, კიდევ მეტი, როგორც ნოროდნოვოლეცი, თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი და მის წინაამდეგ ყოველნაირი ზომის მიმღები. მრავალმა მისმა ამხანაგებმა ჩვენში იარაღი დაყარა თავად-აზნაურული იდეოლოგიის წინაშე, გამოეცალა ბრძოლის ასპარეზს და შეუდგა თავის კერძო ცხოვრების მოწყობას. ერთათ-ერთი გიორგი დარჩა თავის პოსტზე, შერჩა პოლიტიკურ სარბიელს და აქ ლიტერატურით სამსახური გაიხადა თავის ხელობათ. ის არ მიეკედლა გაბატონებულ ბანაკებს, ყოველგან და ყოველთვის თავისი განსაკუთრებითი აზრით გამოდიოდა, მუდამ იდეიურ მომენტით ხელმძღვანელობდა და თავის პოლიტიკურ მრწამს სხვადასხვა ფორმით და სახით თავის წერილებში ატარებდა. გიორგი თანამშრომლობდა სხვადასხვა გამოცემაში, მაგრამ არც ერთი მისი ნაწერი არ გავდა სხვის ნაწერს, სული პროტესტის, რევოლიუციის, თავისუფლების გამოსჭვივოდა თვითეული მისი სტრიქონისაგან. ამავე დროს ის პირადათ ეკავშირებოდა ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლთ, იქნებოდა ის ქართველი, რუსი, სომეხი თუ სხვა ერის, შედიოდა იმ ხანათ თფილისში არსებულ ამ ინტერნაციონალურ წრეში, როგორც მისი აქტიური წევრი და მეთაური. ის სამართლიანათ ითვლებოდა თფილისის ნაროდნიკული ინტელიგენციის მამათმთავარათ. იმ შავბნელ დროს საჭირო იყო დიდი იდეალიზმი, თავდავიწყებითი გატაცება, რაინდული უშიშრობა და საზოგადო საქმის ღრმა სიყვარული პოლიტიკური ლამპარის ხელში ასაღებათ და საზოგადოების წინაშე მის ასანთებათ. გიორგი ატარებდა ამ ლამპარს, მას უვლიდა, არ აქროლდა და საზოგადოებას აგონებდა დიდ პრობლემას—ძველი რეჟიმის მოსპობას და მის ნანგრევზე პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების დამყარებას. აი ეს აზრი მას ამხნევებდა, ასულდგმულებდა და აახალგაზდავებდა. გიორგი იყო მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ ახალგაზდა, ახალგაზდური გატაცებით და იმედებით. გაჭირებაში მტკიცე, საერთო სასოწარკვეთილებაში იმედიანი, საერთო დაღალულობაში მამაცი, უიდეობაში იდეიური, გიორგი მუდამ და ყოველთვის რჩებოდა თავისთავათ, უცვლელი, კლდესავით მაგარი და გაუტეხელი.

როცა საზოგადო სარბიელი გაფართოვდა, შებოჭვილი ცა გაიხსნა, მოძრაობამ ფეხი აიდგა და პოლიტიკური პარტიობა დაიწყო, გიორგი აქაც რჩება თავის სიმაღლეზე, ეძებს თავის ალაგს, ემხრობა იდეოლოგიურათ მონათესავე მიმდინარეობას, აყალიბებს სოციალისტ ფედერალისტთა პარტიას. ის აქაც რჩება ბოლომდე წაუბორძიკებელი, თავის პოსტზე მდგომი და მებრძოლი. მისი მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა აქაც ისეთივე მახვილია, როგორათაც მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. განსაკუთრებით სამაგალითოა მისი ქცევა ბოლშევიკური რეაქციის ხანაში. ფიზიკურათ მოტეხილი, თითქო უსინათლო, სულიერათ რჩება ახალგაზდურათ მძლავრი და შეუპოვარი. ის არ გადმოიხვეწა საზღვარ-გარეთ, დარჩა ადგილზე და შეუდგა თავის გაპნეული ჯარის თავის მოყრას და მის წინამძღოლობას. ის უდგება თავის პარტიის არალეგალურ ორგანიზაციას სათავეში და კვდება ამ პოსტზე, მტრისაგან შეუმჩნეველი. ჩვენ მასში დავკარგეთ საუკეთესო კონსპირატორი. მისი უკანასკნელი ანდერძია მის მიერ ხელმოწერილი გასული წლის პარტიათა შეთანხმება. ერთი ფრონტი, ბრძოლა ბოლომდე, გამარჯვებამდე—აი განსვენებულის უკანასკნელი გამოძახილი, ჩვენდამი, საზღვარ-გარეთ, მომართული. ჩვენ ამ ანდერძს ვასრულებთ. მას ასრულებს მთელი საქართველო.

ნ. ჟ.

---

2. «დამოუკიდებელი საქართველო» № 64.

ახლად გარდაცვლილი გიორგი ლასხიშვილის სიკვდილი მძიმე და გულითადს მწუხარებას გამოიწვევს ყოველ ქართველში განურჩევლად მიმართულებისა. დარწმუნებული ვართ, მის დაკარგვას მთელის თავის არსებით მწვავედ იგრძნობდა სამშობლო და გლოვა იქნებოდა საერთო ეროვნული. დიდი მამულიშვილი—იგი იყო ერთი პირველთაგანი იმათ შორის, რომელთაც საქართველოს საკითხს მისცეს გარკვეული პოლიტიკური ხასიათი და მისი გადაჭრა დასახეს ჩვენი დროის გარდაუვალ მოთხოვნილებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის სუვერენულ უფლებებისათვის ებრძოდა ის ძველ წყობილებას, რევოლუციონერი გახდა ყმაწვილობის პირველ დღიდანვე და შეურიგებელი მებრძოლი დარჩა ამ უფლებებისათვის უკანასკნელ წუთამდე: ბოლშევიზმი მიაჩნდა საქართველოს დამღუპველად, მისი ეროვნების, კულტურის და კეთილდღეობის გამანადგურებლად, და ერთს წუთსაც არ დაუდვია ძირს იარაღი მის წინააღმდეგ.

განსვენებული იყო მაღალი რწმენის ადამიანი—მოქალაქე და მასთან მიმზიდავი თავის პიროვნებით—პატიოსანი, პირდაპირი, იშვიათი წმინდა ზნეობის მატარებელი, მუდამ უბრალო, დარბაისელი. მის სახელს, მის დიდ ღვაწლს, მის შეუდრეკელ ერთგულებას და ხალხის ღრმა სიყვარულს არასოდეს დაივიწყებს მშობელი ერი.

(მეთაური)

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სახელით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალების გამო. განსვენებული ბევრ მხრივ იყო საინტერესო პიროვნება: დიდი პატრიოტი, მაღალი იდეალისტი, უსაზღვრო ენერგიით და ხალისით აღჭურვილი დიდი მიზნების განსახორციელებლათ, მხნე, მუდამ მხნე დიდ დაბრკოლებებში, დიდ გაჭირვებებშიც კი, ის იყო ჭეშმარიტი ადამიანი და მოქალაქე. ჩას სისწორით ქონდა შეგნებული ადამიანის ყოფნის აზრი და დანიშნულება და უკანასკნელ წუთამდე, მიუხედავათ მოხუცებულობისა, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა. გიორგი ლასხიშვილი დიდი დანაკლისია არამც თუ მარტო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის, არამედ მთელი ერისათვის. მან, ტანჯულმა, ტანჯულ საქართველოში დალია სული, მისი სული შეუერთდა საქართველოსთვის სხვა თავდადებულთა სულებს.

მის საფლავს დღეს ღირსეულათ ვერ დაიტირებს მგლოვიარე ერი, მაგრამ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც გამარჯვებული საქართველო თავდადებულთა საფლავებს მონახავს და მათ ერთ უკვდავ პანთეონს მიუჩენს.

კიდევ ერთხელ მოწიწებით მუხლს ვიყრი განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავათ.

ილია ნუცუბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. «ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი» რეკული VIII.

ჩვენი ჟურნალის ეს მორიგი ნომერი პირველია მას შემდეგ, რაც პარიზის ქართველობამ მეტად სამწუხარო ამბავი მიიღო თავისი მრავალ-ტანჯულ სამშობლოდან. მიმდინარე წლის მარტის 15-ს ტფილისში გარდაცვლილა დიდი პატრიოტი, ცნობილი პუბლიცისტი და გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი. განსვენებული იყო ლიდერი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის და მის მთავარ კომიტეტს თავჯდომარეობდა დღიდან პარტიის დაარსებისა უკანასკნელ დღემდე.

სტუდენტობის დროიდან რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული გიორგი ლასხიშვილი სამაგალითო სიმედგრით იბრძოდა ქართველი ერის სუვერენობისათვის, რისთვისაც ძველი რუსეთის მეფის მთავრობამ რამოდენჯერმე აგემა ციხე და გადასახლება. დადგა 1917 წელი. მეფის რუსეთი რევოლუციამ დაანგრია და დაჩაგრულ ერებს გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ. მკვდრეთით აღსდგა ქართველი ერიც და 1918 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

განსვენებულს წილად ხვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის წევრი გამხდარიყო (ჩაბარდა განათლების სამინისტრო). მაგრამ გიორგის ბედნიერებას ფრთები შეაჭრა მოსკოვის ურდოების საქართველოში შემოჭრამ.

ფიზიკურად დაღლილ-დაუძლურებული, თვალთ სინათლეს მოკლებული დიდი მამულიშვილი ვერც ამან გასტეხა სულიერად, და ჭაბუკურის გატაცებით ახალ ბრძოლაში ჩაება. ფუჭი აღმოჩნდა მოსკოვის ტფილისელ აგენტების ცდა, გაეტეხათ გამოცდილი მებრძოლის ნებისყოფა. მეფის ციხეებს კარგად გაცნობილ გიორგის ვერც ახალ ბატონთა წამების სარდაფებმა მოუკლეს ბრძოლის ენინი და იგი უკანასკნელ წუთამდე განაგრძობდა თავისი ქვეყნის სადარაჯოზე დგომას.

ულმობელმა სიკვდილმა მას არ დააცალა, მოსწრებოდა საქართველოს დღევანდელი ჯალათების მოახლოვებულ აღსასრულს, მაგრამ მადლიერი ერი არასოდეს დაივიწყებს მის დაუფასებელ ღვაწლს და დიდ ქართველთა სასახელო თაიგულში მასაც მიუჩენს შესაფერ ადგილს.

სოც.-ფედერალისტთა პარტიას, რომელმაც გიორგის სახით დაკარგა ბრძოლებში გამოცდილი თავისი ხელმძღვანელი, გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ახალგაზდა ს.-დემ. პარიზის ორგანიზაცია და «ახალგაზდა სოც.-დემ.» რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გერმანული ჟურნალი «Sozial. monats.» 1931 ივნისი.

15 მარტს ტფილისში გარდაიცვალა, 66 წლის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებელი და თავმჯდომარე გიორგი ლასხიშვილი, დიდათ დამსახურებული რევოლუციონერი.

ის ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, მეფის მთავრობამ ციმბირში გადაასახლა, საცა რამდენიმე წელი დაჰყო.

საქართველოში 1893 წ. დაბრუნდა და შეუდგა პოლიტიკურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას და იცავდა დემოკრატულ იდეებს.

1903 წელს, გიორგი ლასხიშვილმა თავის ახალგაზდა ფრიად ნიჭიერ მეგობართან არჩილ ჯორჯაძესთან ერთად დაარსა ზემო დასახელებული პარტია, რომლის სათავეში იდგა ის სიკვდილამდის.

დემოკრატულს და სოციალისტურს პარტიას და ამავე დროს ღრმად ეროვნულ სოც.-ფედერ. პარტიას, რომელიც შედარებით საქართველოს სოც.-დემოკრატულ პარტიასთან რიცხვით მცირე იყო, დიდი გავლენა და მომხრეობა ჰქონდა ქართველ ინტელიგენტთა შორის.

ეს პარტია საერთოდ იზიარებდა რუს სოც.-რევოლუციონერების პრინციპებს, უარყოფდა ორტოდოქსურ მარქსიზმს, უახლოვდებოდა ჟორესისებურს რევიზიონიზმს და იბრძოდა ყოვლის უწინარეს რუსეთის დეცენტრალიზაციისათვის და საქართველოს ტერიტორიალურ-პოლიტიკურ ავტონომიისათვის.

იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც იმ დროს მეტად ჩრდილავდა ეროვნულ საკითხს.

პარტიის მეთაურობისათვის 1910 წ. გიორგი ლასხიშვილი კვლავ იქნა გადასახლებული რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა 1914 წელს.

როცა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გიორგი ლასხიშვილი გახდა სახალხო განათლების მინისტრი.

რუსებმა რომ საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს, იგი ტფილისში დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მოხუცი, ავადმყოფი, თითქმის მთლად დაბრმავებული იგი გახდა მსხვერპლი ბოლშევიკების სიძულვილის და დევნის და ორჯელ იქნა დატუსაღებული.

1924 წ. საქართველოს აჯანყების დროს გიორგი ლასხიშვილიც დაატუსაღეს და სხვა ათასებთან მასაც დახვრეტდენ, რომ ის არ გადაერჩინა მისი ერთგული ცოლის თავის მოკვლას, რომელსაც ქმარი დაღუპული ეგონა.

სამშობლოს ტრაგედიამ და გამწარებულმა მდგომარეობამ შეუმოკლა დღენი ამ მეტად დამსახურებულს და ეროვნულ მოღვაწეს და ის გარდაიცვალა ისეთს პირობებში, როცა მშობელმა ერმა ღირსეულად ვერც კი დაიტირა.

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული ს.-დემ. ბ. სახელით კ. ქავთარაძის მიერ, 1931 წ. აპრილის 19-ის კრებაზე.

ბატონებო, ათი წელი შესრულდა რაც საქართველო და მისი შვილები მოკლებული არიან ბედნიერ დღეებს და ტკბილ განცდებს, ათი წელია, რაც უფლება აყრილი ჩვენი სამშობლო ერთსულოვანი და ერთნება-შეკრული ისწრაფის თავიდან მოიხსნას მტრისგან მასზე დადებული მძიმე მონობის უღელი. ბრძოლის სისასტიკე, თავისუფლებისათვის მიტანილი მსხვერპლის სიდიდე იწვევს გლოვას და კვნესა და ოხვრა მოისმის დამწუხრებულ საქართველოს მიწა წყლიდან...

აი კიდევ მეტათ სამწუხარო ცნობა მივიღეთ: გარდაიცვალა გიორგი ლასხიშვილი, სოც.-ფედერ. პარტიის დამაარსებელი და მისი ნიჭიერი ხელმძღვანელი. ჩვენ მწარე ბედში, იმ უსწორო ბრძოლაში, რომელიც ამდენი ხანია მძვინვარებს დაპყრობილ საქართველოსა და დამპყრობელ რუსეთს შორის, გიორგი ლასხიშვილი საქართველოს ერთი მედროშეთაგანი, მისი მოამაგე და მისი მორალური იმედი იყო.

ის საქართველოში დარჩა, დაჩაგრული ქვეყნის უბედობა გაიზიარა, მისი ჩაგვრის სისასტიკის სუსხი გადაიტანა, მისთვის იღვწოდა და მასთან ერთად იჩაგრებოდა.

გიორგი ლასხიშვილის კეთილშობილი სული, უტეხი ნება, უცვლელი რწმენა, რომ პატარა საქართველო ღირსია თავისუფლებისა, აქეზებდა და კრავდა რკინისებურ კოღორტებში ქართველ მებრძოლთა რიგებს და ამ მოხუცის გავლენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელობა სწორეთ მის ამ მაღალ, გაუტეხავ და წამ-ქეზებელ ხელმძღვანელობაში იყო. მას სწამდა საქართველოს თავისუფლება, ის მას ემსახურებოდა, ის საჭიროთ სთვლიდა ბრძოლას, თავდადებას, შეურიგებლობას, თვითონაც მებრძოლთა გვერდში იდგა, ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა...

იყო ხანა ჩვენი სამშობლოს ბრძოლის მსვლელობაში, როცა ჩეკამ მოსყიდვით თუ ძალდატანებით მებრძოლ პარტიათა რიგებში დაშლას და არევ-დარევის სულის შეტანა მოიწადინა და აქ-იქ ცოტა რამ მიღწევაც ნახა. ამ მომენტში გიორგი ლასხიშვილიც დაატუსაღეს, ჩეკის სარდაფში ჩააგდეს და მისი სულის წაბილწვაც მიზნათ დაისახეს.

მოხუცო—ეუბნებოდენ გიორგის ჩეკის ჯალათები—შეიბრალე შენი ერი, რომლისადმი სიყვარული და სამსახური ანათებდა და აბრწყინებდა შენ სულს რამდენიმე ათეული წლის სიგრძეზე, ურჩიე მას, რომ ხელი აიღოს უმიზნო ბრძოლაზე და იცნოს და შეეგუოს დამყარებულს სისტემას და არსებულ ვითარებას; შენ გაუწევ ამით დიდ და დაუფასებელ სამსახურს შენს ქვეყანასო, არწმუნებდენ ჩეკისტები.

მე—უპასუხა გიორგი ლასხიშვილმა მათ—მართლა ათეული წლეების სიგრძეზე ერთი მიზანი მინათებდა გზას—ეს ჩემი სამშობლოს თავისუფლება, მისი მკვდრეთით აღდგენა და ბედნიერება იყო. მას თითქოს ველირსე, მარა მოკლე იყო სიხარული. მოდით თქვენ და ერს თავისუფლება წაართვით, ნამუსი ახადეთ, გასაჭირსა და შიმშილში ჩააგდეთ, და მე, მოხუცებულს, რომლის სიცოცხლის დღეები დათვლილია, შემიძლია ჩემ ერს სიჩუმე ვურჩიო, მონობა ვაქო და თავისუფლება ვაძაგო?

ვაძაგო ყველაფერი ის, რაც ჩემი სიცოცხლის აზრი იყო და ვადიდო ის, რის დაძლევას ჩემი ღონე შევწირე?

არა, ბატონებო, ათავებს ის—ტანჯული ერის შვილი ვარ, და დეე, ჩემი უკანასკნელი დღეებიც ტანჯვაში დაილიოს, მე ჩემ გაჭივრებულ ქვეყანასთან ვიყავი და ვარო.

და მართლაც, გიორგი როგორც წინეთ ეხლა თავის ერთან დარჩა და მისთვის სამსახურში უკანასკნელი დღეებიც მას შესწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალების გამო.

ს. ფირცხალავამ მიიღო:

1. ირაკლი წერეთლისაგან.

ღრმათ შემაწუხა გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალების ამბავმა.

მისი სახით ქართველმა ხალხმა დაჰკარგა დიდ-სულოვანი, უანგარო მოღვაწე, რომლის მთელი სიცოცხლე შეეწირა მშობელი ხალხის კეთილდღეობის და კულტურულ ამაღლების საქმეს.

მიიღეთ ჩემი მხურვალე, გულწრფელი თანაგრძნობა.

ირ. წერეთელი.

---

2. ოდენკურის ქართველებისაგან.

ოდენკურის ქართული საზოგადოება, შეკრებილი ოცდა ექვსი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავათ, იგონებს ეროვნულ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს და მათ შორის განსაკუთრებული მწუხარებით დასტირის ახლათ გარდაცვლილ თქვენ პირად მეგობარს, 26 მაისის საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ გიორგი ლასხიშვილს.

საზოგადოება გიცხადებთ უღრმეს თანაგრძნობას თქვენ და თქვენ პარტიას უმძიმესი დანაკლისისათვის და გამოსთქვამს იმედს, რომ მისი გზა შეუწყვეტლათ გაგრძელებული იქნება ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ოდენკურის ქართული ასოციაცია.

---

3. პრაღიდან.

9 მაისს, შესდგა შეერთებული სხდომა ქართველთ ემიგრანტთა საზოგადოების და პრაღის სოც.-დემ. პ. ორგანიზაციის, საქართველოში გარდაცვალებულ გ. ლასხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ.

აღნიშნულ იქნა განსვენებულის როლი ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯერ კიდევ ცარიზმის დროს და აგრეთვე თავისუფალ რესპუბლიკის არსებობის დროს როგორც სახალხო განათლების პირველი მინისტრის.

გამოეცხადა თანაგრძნობა საქარ. სოც.-ფედერ. პარტიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამხანაგებისაგან (მოგვყავს ზოგი ამონაწერი):

ა)

უსაზღვროდ დამამწუხრა გიორგის დაკარგვამ. დიდი დანაკლისია არა მარტო მისი ამხანაგ მეგობრებისათვის, არამედ მთელი ერისთვის... ვერ მოვუარეთ ღირსეულად მოხუცს, ვერ ვეცით ნუგეში და პატივი, როგორიც მას ასე უხვად ჰქონდა დამსახურებული, მაგრამ არც მთლად ჩვენი ბრალია. ის თვისის სპეტაკის გულით და გრძნობებით ჩასწვდება ჩვენს თქმას, იდუმალ სიყვარულს და მჯერა, გვაპატიებს.

ძალიან ძნელია (შეუძლებელიც) ამ პირობებში გიორგის დაფასება, მაგრამ ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას ხომ, მისი ახლობლების კვნესა ხომ უნდა გაისმას აქაც და ამიტომ კარგი გიქნიათ, რომ სამოქალაქო პანაშვიდის გადახდა დაგიდგენიათ. მან კარგად იცოდა ჩვენი აღთქმა და ახლა ამის განმეორება ჩვენ არ გვჭირია, ეხლა მოქმედების დრო დადგა და ისიც აქეთკენ მოგვიხმობს. მაგრამ თუ აღთქმის განმეორება არაა დღეს საჭირო, იმის თქმა მაინც გვმართებს, თუ რა რიგ გვიყვარდა იგი, თუ ვინ დავკარგეთ...

მძიმეა ეხლა ამის თქმაც კი, რადგან—ვიმეორებ—დანაშაული მაინც მიგვიძღვის, რომ სიცოცხლეში ვერ გავათბეთ... ასე გვეგონა, მუდამ იქნებოდა ჩვენთან; პირიქით, ეხლაც კი იმისგან ვითხოვდით ბევრს რასმე და არრას ვაძლევდით იქით...

ძალიან მიმძიმს ასეთი «გამოთხოვება» საყვარელ გიორგის მიმართ; და ეს სიმძიმე დამრჩება ალბად და ტყვიასებრ დამაწვება, ვიდრე «ვალს» არ მოვიხდი. და მგონია ყველანი ვგრძნობთ ეხლა ამ ტვირთის მოხსნის უცილობას, თუ არ გვინდა სულ გავისრისოთ მის ქვეშ...

კარგს იზამთ, თუ საგანგებო ნუმერს «სახალხო საქმისას» გამოვცემთ გიორგის პატივსაცემლად და მოსაგონარად. იქნებ ამან მისცეს ცოტა გზა ხსნილი დაგუბებულ ცრემლებს...

ბ)

... გიორგის გარდაცვალება გავიგეთ გაზეთებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დღევანდელ პირობებში მიჩვეული ხარ ძვირფას და გამოჩენილ პირების დაკარგვას, მაინც გიორგის დაკარგვა საშინელია... ვერ მოესწრო საცოდავი უკეთეს დღეებს, და მერე როგორ გაფაციცებით ადევნებდა თურმე თვალყურს პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

8)

... დიდი ადამიანისა და სამაგალითო მოქალაქის დაკარგვა, ეჭვს გარეშეა, ყველასათვის მძიმეა, განსაკუთრებით კი ჩვენთვის და ისიც დღევანდელ პირობებში.

წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორ მოქმედებს პირადათ თქვენზედ ეს ამბავი, რადგან დაჰკარგეთ უანგარო ამხანაგი და მეგობარი, უტეხი და პირდაპირი, ათეული წლების მანძილზედ საქართველოს კუთვნილ უფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თქვენთან ერთად, განსპეტაკებულ-გაჭაღარავებული. თქვენთან ერთად ვგლოვობ დიდი ქართველის სიკვდილს, იმ ღრმა რწმენით, რომ მოამაგე ერი თავის ღირსეულ შვილის უწმიდესს ზრახვებს არ დაივიწყებს და დაწყებულ ბრძოლას გამარჯვებით დაამთავრებს. სისხლიდან დაცლილ ტყვე სამშობლოს, დღეს ისიც კი არ შეუძლია, რომ თავის საყვარელ ძეს ღირსეულათ გამოეთხოვოს. მაგრამ საერთო ტახჯვა და გლოვა ერის ძალთა გაერთების და გამთელების საწინდარია და ეს უკანასკნელნი კი, ხომ ის არის, რასაც შეეწირა აწ განსვენებული გიორგი ლასხიშვილი. ყოველ პატიოსან და ჭეშმარიტ ქართველს აღონებს უსათუოთ, რომ საყვარელ სამშობლოსათვის მებრძოლ რიგებში აღარ გვყავს «მოხუცი და უსინათლო გელა». მხნეობა და გამძლეობა! აი ჩვენი სადღეისო მოვალეობა და სამარადისო ხსოვნა ძვირფასი ადამიანის.

ორჯელ გიორგისთან ციხეში

პირველად 1906 წელს დამატუსაღეს ტფილისში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამი დღით ყოფნას პეტერბურგის ციხეში სტუდენტობის დროს. ზამთარი იყო, ახლად შეღამებული, რომ ქუჩაში (ჭავჭავაძის ქუჩაზე ვიდექი) ხმაურობა მომესმა, კიბეზედაც ვიღაცები ამოდიოდნენ. გავიხედე, კარი გაიღო და შემოვიდა აფიცერი ჯარისკაცებით. გაჩხრიკეს მაგიდა, საწიგნე, ლოგინი. ვერა ნახეს რა—ჩემი ბედი, რომ წინა ღამეს არ მეწვიენ, თორემ ისეთი ქაღალდები მქონდა თან, რომ კატორღას ვერ ავცდებოდი.

აფიცერმა მითხრა, დატუსაღებული ხარ, საკომენდანტოში უნდა წამოხვიდეო. დიასახლისმა (ელ. მ—სამ), მეტად კეთილმა და გულუხვმა ადამიანმა, სასწრაფოთ პატარა ბარგი შემიმზადა და თანაც საგზალი და გავყევი აფიცერს, სალდათებით გარშემორტყმული ქარსა და ჭყაპში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომენდანტოში კარგა ბლომად დამხვდა ხალხი, ჩემსავით დაჭერილი. მერეც მოიყვანეს. ამხანაგ-მეგობართაგანი ვლ. ლორთქიფანიძე აღმოჩნდა და კიდევ სამიოდე კაცი. გამიხარდა, რომ მათ შორის გიორგი არ იყო—რაღაც შემთხვევით ის მაშინ გადარჩა.

რამდენისამე ხნის შემდეგ ყველანი, საკმაოდ რიცხვოვან სამხედრო მხლებლებით მეტეხში წაგვასხეს. იქ გამოგვიცხადეს, ყველა ადგილი დაკავებულია და მიღება არავისი შეგვიძლიაო. დაგვაბრუნეს უკან იმავე წესით. გაიმართა მეტეხთან მოლაპარაკება, რაიც დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს როგორღაც საქმე მოაგვარეს და ჩვენც ხელმეორედ გაგვამგზავრეს. მიგვიღეს და ახალ შენობის ქვედა სართულში შეგვყარეს, ვინც როგორ დავეტევოდით. ხოლო მეორე დღეს დაგვანაწილეს და დაგვაბინავეს სხვადასხვა განყოფილებებში.

მე და ვლ. ლორთქიფანიძე ერთ ოთახში მოვთავსდით. რეჟიმი მაინც და მაინც მძიმე არ იყო, წერილებსაც კი ვაწვდიდით რედაქციას. ჩვენი ციხეში ყოფნის დროს, სხვათა შორის, გენერალი გრიაზნოვი მოკლეს, ყუმბარის ხმა კარგად გავიგონეთ ტუსაღებმა.

თვენახევრის შემდეგ განგვათავისუფლეს. რამოდენიმე დღის შემდეგ, ასე 9-10 საათზე საღამოს სახლში ვიყავი და ისიც იყო დაწოლას ვაპირებდი, რომ ვიღაცამ ქუჩიდან დამიძახა. გადავიხედე, სოსიკო იყო. ამოვიდა, მითხრა: ამაღამ სახლში ნუ დარჩები, შეიძლება ხელახლა დაგატუსაღონო. წავედით და ღამე ერთ ამხანაგთან გავათიე. თურმე მეფის მოადგილის თანაშემწე ძალზე გაცხარებული იყო ჩემი წერილების გამო და ციმბირში გადასახლებას მემუქრებოდა. ხიფათის თავიდან ასაცილებლად ამხანაგების რჩევით პეტერბურგის კენ გავსწიე, სადაც იმ დროს უფრო შეიძლებოდა თავის შენახვა...

* * *

გიორგისთან ერთად ციხეში მოვხვდი 1910 წ.—ქანდარმები რომ ბინაზე მეწვიენ, გათენებამდის ჩემი ქაღალდების და წიგნების გადათვალიერებას მოუნდენ. მერე სამართველოში წამიყვანეს. იქ სარდაფში ჩემთან ორიოდე ამხანაგი აღმოჩნდა. მერე გავიგე მხოლოდ, რომ დატუსაღებულნი იყვნენ პარტიის ყველა ხელმძღვანელი და ჩვენი გაზეთის თანამშრომლები. დაჭერილი იყო გიორგიც, რასაკვირველია.

მეტეხში ამხანაგები პირველად ერთ განყოფილებაში ვიყავით და გიორგისაც შედარებით ხშირად ვხედავდი. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე დაშნაკელები დაატუსაღეს და რაღაც მოსაზრებით ყველანი საუკეთესო კამერებში მოათავსეს და ჩვენ—ნაწილი—სისხლის სამართლის დამნაშავეებთან საერთო ბინებში შეგვყარეს. მეც უკანასკნელთა რიცხვში მოვხვდი და რამდენიმე თვე მეტად ცუდ პირობებში მომიხდა ყოფნა. გიორგი და სხვა ახლობელი ამხანაგები დამშორდენ. გიორგისთან შეხვედრის შემთხვევა ხანდახან თუ მქონდა საერთო სეირნობის დროს ან ეკლესიაში, სადაც გასართობად დავდიოდით და სადაც გიორგი, როგორც სიმღერის დიდი მოყვარული, მგალობელთა გუნდში მონაწილეობას იღებდა და თითქმის ინიციატორიც კი იყო ამ გუნდის შედგენისა.

მაშინ მეტეხში ათ თვემდე დამაკავეს და უკანასკნელ თვეს გიორგისთან ახლოს ვიყავი. ორსავე გვახარებდა ეს და რამდენად გარემოება ნებას გვაძლევდა, დროს ვამრავალფეროვანებდით და მხიარულად ვატარებდით. ვიცოდით უკვე, რომ რუსეთში გადასახლება გვქონდა გადაწყვეტილი და წინასწარ ვამხადებდით გამგზავრების გეგმას.

ციხიდან ერთად გამოგვიშვეს, ერთად წავედით ბოქაულთან საჭირო ქაღალდების მისაღებად. ბოქაულმა—მიქაბერიძემ—გაგვამხნევა თავისებურად: რა გიშავთ, რუსეთში რომ გადაგასლეს—იქაც ქვეყანაა, იქაც ჩვენი სახელმწიფოაო.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი ხარკოვისკენ გაემგზავრა, მე კი ტვერისკენ, რადგან ჩემთვის საჭირო იყო ტვერში ყოფნა ჩემი მეგობრის მახლობლად, გიორგის კიდევ ხარკოვში ძველი კარგი ნაცნობები ეგულებოდა...

როცა ჩემი მეგობარი მოულოდნელად გარდაიცვალა და მე ფარულად მის გასვენებას გავყევი ქუთაისამდე და იქიდან გამოვბრუნდი, როსტოვში გავჩერდი, სადაც ჩვენს გადმოსახლებულთა შორის ს. მაჭავარიანი იყო, იშვიადი გულის პატრონი, საუცხოო ადამიანი, ორგანიზატორი, პრაქტიკული მოღვაწე, რომელიც 1924 წ. ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

გიორგი მხურვალედ მთხოვდა ხარკოვში გადასვლას. მეც ერთხანს ვაპირებდი იქით წასვლას, მაგრამ მერე თანდათან ჩავრჩი როსტოვში.

ორ წელიწად ნახევრის შემდეგ შევხვდით კვლავ ერთმანეთს. ახლად ჩასული რედაქციაში ვიჯექი ამხანაგებთან, გარდასრულ ამბებს ვიგონებდით. უცბად კარი გაიღო და გიორგი გამოჩნდა თავის სათნოიანი სახით. გავჩუმდი, აბა თუ დამინახავს გიორგი თავის თვალებითათქო. იგი პირდაპირ ჩემთან მოვიდა და ერთმანეთი გადავკოცნეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

1922 წ. თებერვლის 10, ნაშუაღამევის პირველი თუ მეორე საათი იყო, რომ ჩეკისტები თავს დამესხენ ბინაზე. ყველაფერი გადააატრიალეს, დაჩხრიკეს. არაფერი დაუტოვებიათ. ჩეკისტთა რაზმს ვილაც სომეხი უფროსობდა, რომელსაც ქართული ნაკლებად ესმოდა, ბრალიანი და უბრალო ქაღალდი სულ აკრიფა და შეკრა.

დილაზე ჩეკაში წამიყვანეს. რამდენიმე დღეს იქ მამყოფეს. ჯერ არა ვიცოდი რა, ხოლო მერე გავიგე, რომ დაჭერილნი იყვნენ გიორგიც და სხვა ამხანაგებიც. მეტეხში ერთ ოთახში მოგვათავსეს რვა ამხანაგი. ძალიან ვიწროდ ვიყავით, მაგრამ ერთად ყოფნა გვიადვილებდა ტყვეობას. თავისუფლად დავსეირნობდით, წიგნებიც გვქონდა, ხშირად საერთო კრებებსაც ვმართავდით. არ გვაკლდა სიმღერებიც გიორგის მონაწილეობით. გვქონდა სათამაშოებიც—ჭადრაკი თუ სხვა. გიორგის უყვარდა ჭადრაკი, მაგრამ მეტ წილად რამე წიგნს უკითხავდენ ამხანაგები, რამე გასართობს. მახსოვს, დიდი ხალისით ისმენდი «ათას ერთ ღამის» ზღაპრებს. გვქონდა შინაური კამათებიც. გიორგი აჩქარებით არ მიიღებდა მონაწილეობას. ჯერ დინჯად მოისმენდა სხვებისას და შემდეგ ამოიღებდა ხმას. არავითარი წუწუნი. სიმწარე და პესიმისტობა არ ამოხდებოდა მის გულს. ყოველთვის მხნე იყო და სხვებსაც სიმხნევეს გადასცემდა. კამერაში სხვადასხვა სამნეო მოვალეობას მორიგეობით ვასრულებდით, გიორგი გვთხოვდა, ისიც ყოფილიყო მორიგე, მაგრამ ჩვენ არ ვეთანხმებოდით.

მეტეხში იმ დროს გარეგნულად თავისუფლება იყო, და საზრდოც გარედან უხვად მოგვდიოდა, ხოლო საერთოდ საშინელი სული იყო დამყარებული ციხის უფროსის შულმანის მეოხებით...

გიორგის თვალებზე სატუსაღოს წესმა მაინც ცუდად იმოქმედა, ტკივილებმა უმატეს. ექიმების შემოწმების შემდეგ საავადმყოფოში მოათავსეს და მერე გამოუშვეს.

მე კი კიდევ რამდენიმე თვე მომიხდა მეტეხში ყოფნა, ვიდრე სამშობლოდან გამომაძევებდენ...

ს. ფ.

1931 წ. 19 აპრილს პარიზში გ. ლასხიშვილის ხსოვნის პატივსაცემლად გამართულ პანაშვიდის ანგარიშს, ს.—თურქელის და ხს. წერილებს უადგილობის გამო ვერ ვათავსებთ.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon